42
ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი 1-ლი № 26
ხუთშაბათი 12 ოქტომბერი 1917

რედაქტორი:
პატო მიქელაძე

გამომცემელი
ქალთა კლუბი

ხმა ქართველი ქალისა

რედაქციისაგან.
კანტორა ღიაა დილის 9 საათ. 3 საათამდე.
ავტორის მიერ ხელმოუწერელ წერილებს
რედაქცია არ დაბეჭდავს.
რედაქციის მისამართი: ქ. ქუთაისი პუშ.
კინის ქ. № 12, სახლი პეიშვილისა შესახ-
ვლელი პიშკრიდან ეზოში.

ფასი 15 კ. ყოველკვირეული საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი ფასი 15 კ.

ქალებო, ემზადეთ დამფუძნ. კრებისათვის!

ამხანაგებისა და თანამგრძნობთა საყურადღებოთ.

ამხანაგებო, გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ თქვენი ჭირისა და ლხინის მოზიარე გაზეთია. მის განსამტკიცებლათ და გასავრცელებლათ საჭიროა თქვენი ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება. მოგვეხმარეთ ფულით და კალმით, მოგვაწოდეთ კორესპონდენციები და ლიტერატურული, თუ მეცნიერული მომენტისა და მიზნის შესაფერი წერილები! მოაწყვეთ დაბა ქალაქებში აგენტურა გაზეთის გასავრცელებლათ.

რედაქცია

---

12 ოქტომბერი.

რომ ჩვენი დიდი ქალაქების [illegible] ქალები სრულ[illegible]თობას და დაუდევრობას იჩენენ თავიანთი სქესის უპიროვნო ცხოვრებაზე ეს ყველასათვის ცხადია. ექვსი თვეა რაც გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ არსებობს და ამ ხნის განმავლობაში ამ გაზეთს, მიუხედავათ ათასნაირი ხელის შეშლისა და გაჭირვებისა ერთხელაც არ თავის მიზნისთვის არ უღალატნია, ერთხელაც არის მისი გამოსვლა არ შეწყვეტილა. ჩვენ მის გარშემო მომუშავე სამიოდე ქალი ნიძლავს დავდებთ, თუ რომელიმე ყოველ კვირეული ბეჭვდითი ორგანო გასძლებდა ამდენ ხანს, ამ ზღაპრულ სიძვირეში ისეთი ღარიბი ფონდით, რომელიც ჩვენს რედაქციას ჰქონდა. ამ ხნის განმავლობაში იმ ქალებიდან, რომელიც ჩვენ სამშობლოში პირველ სკამებზე სხედან თავიანთი ქმრების მაღალი სოციალური მდგომარეობით ერთი თანაგრძნობის ხმა არ მოგვწვდენია. ერთი უბრალო დახმარება მათგან არ ვღირსებია. ჩვენ არ მიგვკარებია არც ის კურსიტ ქალები, რომლებიც კარიერის შესამჩნევლად უცხოეთში გამგზავრებულან და სამშობლოში დროებით დაბრუნებულთ, ამა თუ იმ პარტიულ კრებაზე სიარულის მეტი ამ დიდი რევოლუციის დროს არაფერი არ გაუკეთებიათ. და რომელთ საქმიანობა არც ერთს იმ პარტიას, რომელსაც ისინი სიტყვით ეკუთნიან ჯერ არ დაუნახავთ. ჩვენი თანამგრძნობია ქალაქის და სოფლის ინტელიგენტი ქალების ის ნაწილი რომლებიც იტანენ ყოველგვარ გაჭირვებას ხალხის სიბნელეში სინათლის შესატანათ და პროვინციის მშრომელი დედაკაცები, რომელთაც ადამიანური თავმოყვარეობა არ და[illegible] ცხოვრებით. ისინი გვაწვდიან ზნეობრივსა და ნივთიერ დახმარებას, ისინი არიან დაინტერესებული თავიანთი სქესის ინტერესის დამცველ გაზეთის არსებობაში. რაც უფრო კიდევ მეტად საკვირველია ჩვენ არ მიგვიღია არავითარი კალმით დახმარება არც ჩვენი პოეტი და ბელეტრისტი ქალებიდან გარდა საფო მგელაძისა და მარიამ გარიყულისა. ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოება, რომელიც სამი ათას მანეთს თავის ღარიბი ფონდიდან სწირავს ისეთს ფეხმოდგმულსა და გავრცელებულს გაზეთს, როგორიც „საქართველოა“. ერთად ერთ ქალთა ბეჭვდითი ორგანოს მთელს საქართველოში, როგორიც ჩვენი გაზეთია, არა თუ რაიმე დახმარებას არ უწევს, არამედ არც მისი გამოწერით და კითხვით თავს იწუხებს. რას ნიშნავს ყველა ეს? ქართველურს შენს ჩემობას, თუ სრულს გულგრილობას საკუთარ უფლებისადმი?

ჩვენ ვფიქრობ, რომ ერთსა და მეორესაც! მაგრამ, რომ ამ ერთად ერთმა ქალთა გაზეთმა ჩვენს სამშობლოში იარსებოს ჩვენი დების სიბნელეში მიდუნებულ აზროვნების გამოსაფხიზლებლათ ჩვენ, — ხელმძღვანელი ამ გაზეთისა, რომელიც ვმუშაობთ უჩვეულო პირობებში: სილატაკეში შიმშილ წყურვილში, უძილობაში და ბრძოლაში, რომლებსაც მრავალი მეტიჩარა პირთაგან დაცინვა და ხელის შეშლა გამოგვიცდია და განვიცდით დღესაც, ვაცხადებთ: თუ ვისმეს შეგწევთ უნარი და სურვილი ამ გაზეთის გაძღოლისა მობრძანდით! ჩაიბარეთ მთელი რედაქციის ფონდი და ინვენტარი ოღონდ აცოცხლეთ იგი. ჩვენი მხრით ყოველ გვარად დაგეხმარებით ოღონდ საქმეს გაუძეხით, ჩვენ სრულიად არ გვაინტერესებს მეთაურობა. ჩვენ გვაინტერესებს ჩვენი სქესის უფლების აღდგენა და ვინც მათ უფლებისათვის თავს გამოიდებს ის ჩვენში ყოველთვის ჭეშმარიტ ამხანაგს იპოვნის. ჩვენზე ამბობენ, რომ ჩვენი გაზეთი პარტიულია. და ამას ამბობენ ის პირები, რომლებსაც გულით სურდათ ამ გაზეთის პარტიულ ორგანოთ გადაქცევა და რომ ვერ მოახერხეს ეხლა თავიანთ გაწბილებულ წადილს ჩვენვე თავზე გვახვევენ. მას ამბობენ, მას შემდეგ რაც ჩვენ ს. რევოლიუციონერებისთვის, რომ მიეცა ქუთ. არჩევნებში ხმა ქალებს მიუწოდეთ. [illegible] ვამბობდით ამას, ვისაც ყური ჰქონდა მან უკვე იცის, რადგან იმავე წერილში ვაცხადებდით მას. ყრუსათვის კი ათჯერ არ რეკავენ. ჭიათურიდან გვატყობინებენ, რომ იქ ს. რ. თავის 20 კანდიდატში ერთი ქალიც არ დაუსახელებიათ, რითი აიხსნება ეს? მითი, რომ მათ ქალები არა ყავდათ, თუ ყავდათ და არ ინებეს მათი დასახელება? თუ ჭიათურის ს. რ.-ს ქალები ყავდათ პარტიაში და არ მოისურვეს მათი გაყვანა და ეს დღევანდელ გაზეთ „ხმა ქართველი ქალისა“ ხელმძღვანელთ თავის დროზე გვცოდნოდა ჩვენ მათ სულ წინააღმდეგათ ქუთაისურ არჩევნებისა მოვექცეოდით. ჩვენთვის, ჩვენი ადამიანური უფლების აღდგენის ინტერესი ყოველ პარტიულ ინტერესზე მაღლა სდგას, რადგან დედრობითი სქესის მონობის მოსასპობლათ არავითარი სოციალური და ეკონომიური რეფორმების ნაყოფიერება არა გვრწამს.

აი ჩვენი აღსარება. აი ჩვენი სიტყვა. თუ არც ერთს ისურვებენ და არც მეორეს აწამებენ „შენ წახდი მეც წამახდინეს“ მიმდევარნი ჩვენ, როგორც გვიშრომია, ისე ვიშრომოთ და უკანასკნელ ძალ ღონემდე გაუძლევებით ჩვენს უწმინდეს გრძნობით ნაშობს ორგანოს. და თუ სიღარიბემ და შეუწევნელობამ ის მოკლა, როგორც გაზეთი. იმ იდეას, რომელსაც ის დღეს ემსახურება ვერავითარი ძალა ვერ ჩააქრობს.

ჩვენ კი ერთგვარი კმაყოფილება მაინც დაგვრჩება იმ მოფიქრებით, რომ ჩვენი მოვალეობა უდიდეს ისტორიულ მომენტში წმინდათ შევასრულეთ.

რედაქცია.

მიზეზი ქალთა მონობისა და ქალთა მოძრაობისა.

ბ. შომეტის ქათინაურებმა ვერ დააცხრეს მებრძოლნი გულისცემა მისი თანამედროვე ქალებისა. ამ ხანებში ქალთა კარჩაკეტილი ცხოვრება ირღვეოდა რომლის გამო ღარიბ ხალხის შვილებს ოჯახის გარედ უხვდებოდათ შრომა და მათი მდგომარეობა მით უფრო უმწეო იყო, რამდენათაც ისინი მოკლებულნი იყვნენ ცოდნასა და მოქალაქურ უფლებას. ქალებს მფარველად [illegible] რიე, შატობრიანი, და სხვა. ქალებმა დაარსეს თავიანთი კლუბები ჟურნალ გაზეთები, დაიწყეს პეტიციების გზავნა როგორც მეფესთან ისე კონვენტთან. „თქვენ რომლებმაც გააუქმეთ ყველა პრივილეგია, გააუქმეთ თანაც პრივილეგია მამრობითი სქესისა!“ სწერდენ ქალები კონვენტს. კონვენტი თითქმის თანაგრძნობით მიეგება მათ. შეიმუშავა კოდექსი, სადაც ცოლსა და ქმარს თანასწორ პირობებში აყენებდა. გამოსთქვა სურვილი ერთგვარი სკოლების გახსნისა ორთავე სქესისათვის. მაგრამ ტერორის გაძლიერებამ და იმ ექსცესებმა, რომელიც წარმოშვა დიდმა რევოლუციამ ეს კეთილი განზრახვა უკუ აგდებინა მათ. და რაც ტერორმა დააკლო ის ნაპოლეონის სისხლიანმა ხელმა გაანიავა. და ვინ იცის დღევანდელი რუსეთის დემოკრატიის უთანხმოებით, რა ბედი ეწევა დროებითი მთავრობის მიერ აღიარებულს ქალთა სწორუფლიანობას, თუ რომ ქალები მთელი თავისი ენერგიით არ შეუდგენ თავიანთ ქმრების და ძმების შეთანხმების გზაზე გამოყვანას. რომ ქალებსა აქვს გავლენა თავიანთ მახლობელ მამაკაცებზე ეს უდაო ფაქტია და ეს გავლენა ქალებმა დღეს, ერთი ორად უნდა გამოიჩინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დესპოტი, რომელიც საერთო არევ დარევით ისარგებლებს ყველაზე მეტად ქალების უფლებას დაანიავებს, ისე როგორც ეს ჩაიდინა ათასი უდანაშაულო მსხვერპლთა ცხედრებზე ამაღლებულმა ნაპოლეონ

პირველმა, რომელმაც დაიდგა თავზე გვირგვინი, თუ არა, თავის საბრძანებელში თავისი გემოვნების კოდექსი გამოსცა, რომელსაც დღესაც არ დაკარგვია ძალა საფრანგეთში ქალთა უფლების მიმართ. ამ კოდექს სახელად ნაპოლეონის კოდექსი ეწოდება, რომელიც სავალდებულო საგნათ ითვლება იურიდიულ ფაკულტეტზე მთელს მხარეში. ამ კოდექსში სხვათა შორის სწერია: „თუმცა კანონი და სამართალი ღებულობს სხვა და სხვა სისტემას ცოლ-ქმართა ქონებრივ დამოკიდებულებაში, მაგრამ, როგორიც უნდა იყოს ეს სისტემა: იქნება ის საერთო ქონება (Commuuaunte, des biens), თუ გაყოფილი ქონება (separaions des biens) ცოლს მაინც ნება არა აქვს ქმრის უმისოთ მაზე განკარგულებისა. ქმარი არის ოჯახის თავი, რომელსაც ცოლი უნდა ემორჩილებოდეს. ღალატისთვის ცოლი დაისჯება ორწლამდე ციხეში დაპატიმრებით, მაშინ როდესაც ასეთი დანაშაულობისათვის ქმარი არავითარ სასჯელს არ ხდის. სიქვრივის დროს დედის უფლება გადადის აპეკუნზე, რომელსაც ირჩევს ქმარი, ანუ ოჯახის თათბირი შემდგარი ქმრის ნათესავებიდან აკრძალულია მამის ძებნა (Ca recheschie de la daternite, est interdite) ყოველი ბავშვი დაბადებული ქორწინების გარეშე ითვლება უმამოთ გარდა იმ შემთხვევისა, თუ მამა თვითვე არ მოისურვებს შვილის ცნობას. მამაკაცი, რომელიც ქალწულს შეაცდენს არავითარ ვალდებულობას არ ღებულობს არც დედისა არც შვილის წინაშე. დაპირება ჯვარის წერისა, თუნდაც წერილობითი საბუთით არაფერს არ ავალებს მას. ერთად ცხოვრება კიდევ არ ამტკიცებს შვილის გაჩენას.

ასეთი იყო სამართალი დიდი მოლაშქრისა, რომლის ბრძანებლობის დროს ქალთა მოძრაობა თავის პირველ ნაბიჯში საფრანგეთში მეხლაკრული გახდა. თუ რა მტრული თვალით უცქერდა ნაპოლეონი განვითარებულსა და მაღალ ნიჭიერ ქალებს ამის მაჩვენებელია მისი განწყობილება ქ. ნ. დე-სტალთან 1) ნაპოლეონის გაძევების შემდეგ ქალთა მოძრაობა ისევ ფეხზე სდგება. 1830 წ. ივლისის რევოლიუციის დროს არსდება გაზეთები პუტრე დე მაშონის და სხვა ქალთა მეთაურობით. ამ ხანებში მათ მოსარჩლეთ გამოდის დიდი ფილოსოფოსი სენ-სიმონი, 1848 წ. კონსიდერანს შეაქვს პარლამენტში წინადადება და მოითხოვს ქალთა არჩევათა უფლებას. მაგრამ სხვა და სხვა ამბოხებამ და ზოოლოგიურმა ბრძოლამ ქალთა უფლების მოსარჩლენი აქაც დაამარცხა.

ამ ხანებში ქალებს მოსარჩლეებთან ერთად მოწინაღმდეგენიც უჩნდებათ. მათზე იერიში მიაქვს უმადურს მოწაფეს სენ სიმონისას,- ოგ. კონტს, რომლის პოზიტიურმა ფილოსოფიამ თან და თანობით გავლენა მოიპოვა მთელს ევროპაში და რამდენათ დღევანდელი საფრანგეთის რესპუბლიკა აჩქარებით გახდა მოწყობილი, იმდენათ ბევრი შერჩა მას ძველი მონარქიული ჩვეულებანი, • რომლის 47 წლის არსებობას დღესაც არ გაუქვრია მონარქიული, ანტიფემინისტური სული საფრანგეთში და მის სატახტო ქალაქში.

მხოლოდ როდესაც თვით ოჯახში ცოლქმართა შუა აზრთა სხვა და სხვაობით უთანხმოება ჩამოვარდა ქალთა განათლების სასარგებლოთ თვით მამაკაცების მიერ საკითხი აღიძრა.

აქ სცენაზე გამოდიან კარნო, ჟულფერი, ბრონა და სხვანი, რომელნიც აცხადებდენ: „მონასტრის სკოლებიდან ჩვენი ქალები გამოდიან სრულიად უვიცნი და თანაც მე—12 საუკუნის შეხედულობით ცხოვრებაზე, რომელიც თავისებურ გავლენას ახდენენ შვილებზე„ო. ახალი მართველნი, იმდენათ ქალთა უფლების საკითხზე არ იყვნენ დაინტერესებული, რამდენათ იმ წარმოდგენით და შიშით, რომ მორწმუნე ქალთა გავლენით კვლავ არ აღმდგარიყო მონარქია და ხელიდან არ გავარდნოდათ ქვეყნის მმართვა გამგეობა. 1880 წ. დაამტკიცეს კანონი ქალთა სამი ტიპის სკოლის დასაარსებლად. პირველ დაწყებით სკოლა, ècoles primaires 2) საშვალო სკოლა (ècoles secondaires) ქალთა კოლეჯი 3) და სამასწავლებლო სემინარია (ècoles normaies) ამასთან ერთად მათ გაუღეს უნივერსიტეტის კარებიც, რომელთაც ფრანგი ქალები იმდენათ ეტანებიან, რამდენათაც იქაური საზოგადოება და ოჯახი ხელს უწყობს ქალთა უმაღლეს განათლებას. ფრანგ უნივერსიტეტში არსებული ომის დაწყებამდე უფრო მეტი წილი უცხოელი ქალები იყვნენ მსმენელნი, ვიდრე ადგილობრივი და ეს მისთვის ხდებოდა ეგრე, რომ მიუხედავათ ოთხი რევოლიუციისა ძველი ჩვეულება და ტრადიციები ქალთა მიმართ იქ არაფრით არ შეცვლილა.

ამ გვარად თავისუფლებისათვის მებრძოლმა საფრანგეთის მესამე წოდებამ დედაკაცები ყოველგვარ მოქალაქურ და პოლიტიკურ უფლების არედ დასტოვა და ამის მიზეზი იმდენათ რასიულ თვისებაში არა სდევს, რამდენათაც იმ სიმხეცისა და ზედმეტ სისხლის ღვრაში, რომელიც სხვა და სხვა არეულობის დროს ფრანგებმა.

კატო მიქელაძე.

(შემდეგი იქნება)

---

1) იხ. „Dix ans en Exil“

ეკონომიური რეფორმა შეუღლებისა.

აღნიშნული ავტორის სტატისტიკიდან სჩანს, რომ ხნოვანება გათხოვებისა გერმანელ ქალთათვის გრძელდება 25 წლიდან 50 წლამდე.

20 წლ. 30 წლამდე გათხოვილები. $41\frac{1}{2}\%$.
„ — — „ ქალიშვილები. $56\frac{1}{2}\%$
„ — — „ ქვრივები 1%.

ამ გვარად გაუთხოვარნი ნახევარზე მეტია და ეს $56\frac{1}{2}\%$ საკუთარი შრომით ირჩენენ თავს.

30 წლ. წლ. 40 წლამდე გათხოვილნი. $77\frac{1}{4}\%$.
„ — — „ ქალიშვილები $18\frac{1}{2}\%$,

შეიძლება ვსთქვათ, რომ მომეტებულ წილს ქალებისას შეუღლება უზრუნველ ყოფას აძლევს მხოლოდ 30 წლიდან 40 წლამდე.

40 წლიდან 50 წლამდე გათხოვილნი. 76%
„ — — — „ ქალიშვილები $11\frac{3}{4}\%$
„ — — — „ ქვრივები $12\frac{1}{4}\%$

ამ გვარად 10 წლის შემდეგ წინაღმდეგი მოძრაობა იწყება. უმაღლესი საზღვარი ხნოვანობისა 40 წელიწადს გადაბიჯებულია. გათხოვილთა რიცხვი მცირდება, რიცხვი ქვრივთა მატულობს. და მთელ მეოთხედ ნაწილს ქალებისას საკუთარი შრომით უხვდება თავის რჩენა

50 წლიდან გათხოვილნი... 49,64%
„ — ქალიშვილები... 10,96%.
„ — ქვრივები...... 39,40%.

როგორც ვხედავთ 50 წლიდან ე. ი. ხანგადასულობაში თითქმის

დეკაბრისტების პროცესი.

მანიფესტი უმაღლესი საოლქო სასამართლოს დანიშვნაზე. მსაჯულთა შემადგენლობა და განჩინება. დასჯა. ბრძანება ჯარში.

III

მაგრამ რას ნიშნავს ფიზიკური ტანჯვა, რომელსაც ტყვეები განიცდიდენ, იმ ზნეობრივ ტანჯვას თან შედარებით, რომელიც უნდა განეცადათ მათ თავიანთ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, როცა დარწმუნდენ, რომ ყველა მათი იმედები უბრალო ოცნებათ დარჩა, როცა დაინახეს, რომ თავიანთ გულახდილობით მათ მხოლოდ გაადიდეს მსხვერპლთა რიცხვი და რეპრესიები.

„მაპატიეთ სულგრძელო ხელმწიფეო, რომ მე დამნაშავე მოწყალებას გევედრებით. გრძნობებით გატაცებულმა მე გამოვამჟღავნე საიდუმლო საზოგადოების საქმე და გონების დაუკითხავათ შეიძლება ვსთქვი ის, რაც სხვა წევრებს არ უთქვამთ. მაგრამ ყველა ამაში დამნაშავე მე ვარ, როგორც თქვენ წინაშე, ისე იმ უბედურ ხალხისა, რომლებიც მე ამ საქმეში გავიტაცე. ადვილია თავის დაღუპვა, მაგრამ ადვილი არ არის იყო მიზეზი სხვისი დაღუპვისა და წარმოდგენის ატანა შეუძლებელია. მე თქვენ ფეხ წინაშე დავარდნილი გევედრებით: ხელმწიფეო დაიფარეთ უბედურნი! თავისუფლება მომჯადოებელია; და მე მისთვის ცეცხლ აგზნებულმა გავიტაცე მითი აფიცრები ლეიბ-გვარდიის გრენადერის პოლკისა პორუჩიკები სუტგოფი, პანოვი, პოდპორუჩიკი კოჟევნიკოვი. პრაპორჩიკი ჟერებცოვი, გალიცინი. კოლეჟსკი მდივანი გლებოვი, რომელმაც იცოდა საზოგადოების არსებობა მაგრამ არ ეკუთნოდა მას. ყველა ამ ხალხს ყავს ცოლშვილი, მამები, დედები და მე გავხდი მათი მკვლელი. მათ, რომ მე არ შევხვედროდი ყველანი ბედნიერი იქნებოდენ. ხელმწიფეო თქვენ თვით მამა ბრძანდებით, თქვენც ადამიანი ხართ, წარმოიდგინეთ ტანჯვა უდანაშაულო ოჯახებისა. მე ვარ ყველაფრის მიზეზი და დეე, ჩემზე დასრულდეს მათი ტანჯვა! ისინი კი თქვენდამი მადლობით აღვსილი, შეიძლებენ სარგებლობის მოტანას თქვენთვის და სამშობლოსათვის. დაიფარეთ ისინი დიდათ სულგრძელო ხელმწიფეო! მე მოკვდები თქვენი დიდებულობის ლოცვაში. შეიძლება ჩემი გამოთქმა არ არის ზრდილი, შეიძლება თავხედობაა, რომ ვბედავ წერილის წერას თქენს უდიდებულესობასთან. მაპატიეთ, რომ არ დავბადებულვარ სასახლეში, და ავყევი გულის თქმას.

აგრე სწერდა კახოვსკოი იმპერატორს 19 მარტს რამდენიმე დღის წინათ, სანამ მას სიკვდილის დასჯიდენ.

ბოლოს ყველა ჩვენებები ბრალდებულთა შეაერთეს და გასინჯეს. დაიჭირეს ყველა დეკებრის დემონსტრაციაში მონაწილენი პროვინციებში. შესაძლებლად რაცხდენ გამოძიების დასრულებას, 6 ივნისს. 1826 წ. და გამოქვეყნდა უმაღლესი მანიფესტი:

„19 დეკემბრის გასული წლის მანიფესტიდან და შემდეგი საყოველთაო განცხადებით ყველა ჩვენმა ერთგულმა ქვეშევრდომმა უწყის არსებობა ბოროტ განძრახულობისა, რომელიც ემუქრებოდა ტახტს ჩამონგრევას, სახელმწიფოს წესის შეცვლას და მთელი წმინდა რუსეთის მშობლიურ კანონების გარდაქმნას.

„გამომძიებელს კომისიას ვალად დავდევით ჩვენ, გამოეკვლია ეს საქმე მთელი თავისი შემადგენლობით, მოენახათ მისი უკანასკნელი არსებობის ძირი, გამოექვეყნებინა მისი დასაწყისი, მისი ზრდა, ყველა მისი დამოკიდებულებანი არა ეჭვით და მოჩვენებით, არამედ დამამტკიცებელი და უტყუარი საბუთებით.

„ასეთი მტკიცე და ფართო გამოძიება მიუცილებელი საჭირო იყო. ჩვენი მეფობის პირველ დღეებშივე ზენაარსის ნებით ჩვენ წინ გაიხსნა უცნაური შეთქმულობა ათი წლის წინად არსებული და სიბნელეში მიმალული. ეს იყო ღვთაებრივი ძალის მხილება რომელიც ჩვენ გვანიშნებდა გზასა და ზომა მოვალეობას ჩვენსას არა ჩვენი პირადი, არამედ მთელი სამშობლოს უბედურობის მოსაგერებლად.

„ასეთი იყო ჩვენი აზრი გამომძიებელ კომისიის დაწესების დროს. ასეთი იყო წესი, რომელიც მივეცით მას სახელმძღვანელით. მთელი 5 თვის განმავლობაში ყოველ დღე ეს კომისია თავის მინდობილ საქმეს ასრულებდა, ჭეშმარიტად დაუღალავი შრომით კომისიამ მიაღწია თავის მიზანს, წარმოგვიდგინა ჩვენ სრული მოხსენება ყველა თავისი დამამტკიცებელი საბუთებით.

„ამ მოხსენების განხილვის დროს და მისგან შეგროვილ საბუთებისა ორგვარი ბრალდება გვიდგება თვალწინ. ბრალდება მძიმე,—დანაშაულობა სახელმწიფოებრივი, დიდი ხნით მოფიქრებული და შეუპოვრად განძრახული და ბრალდება დანაშაულობისა, რომელიც გამოწვეულია სულ მოკლეობით და სხვისი ბრმა რწმენით. „მათი განსჯა მივანდეთ ჩვენ სამს წოდებას სახელმწიფოსას: სახელმწიფო საბჭოს, უმართებულეს სენატს და წმინდა სინოდს, რომლებსაც მიუმატეთ რამოდენიმე პირი სამხედრო და სამოქალაქო უმაღლესი მოხელეებისა. თავმჯდომარე და გამომძიებელ კომისიის წევრი მას არ დაესწრება.

„ასეთი სამჯავროს წყობილებით ჩვენ გვსურდა არა მარტო შევვენახა კანონიერი ძალა წინანდელი მაგალითებისა, არამედ კიდევ უფრო მეტად გვსურდა აღგვენიშნა მით,

ნახევარზე მეტს წილს ქალებისას საკუთარი შრომის იმედი უნდა ჰქონდესთ საარსებოთ. ამ გვარად შეუღლება ქალთა ცხოვრებას მხოლოდ 30 წლიდან 50 წლამდე უზრუნველ ჰყოფს. ამ ხნოვანებამდე და მის შემდეგაც ქალებმა თავი თვითვე უნდა ირჩინონ.

ეხლა ვიკითხოთ რამდენათ უზრუნველსა ჰყოფს შეუღლება ქალებს 30 წლიდან 50 წლამდე.

ამაზე პასუხს გვაძლევს სტატისტიკა 1895 წლისა. 20 წლიდან 30 წლამდე (როცა ნახევარზე მეტი წილი ქალებისა გაუთხოვარია) 45,95 პროც აქვთ პროფესია; მაშასადამე ნახევარზე მეტი წილი ქალებისა ეკუთნიან თავ შეფარულთ. 30 წლიდან 40 წლამდე 23,92 პროც. ქალებისას აქვთ დამოუკიდებელი პროფესია 7608 პროც. ეკუთვნიან თავშეფარებულთ, რომლებსაც აქვს საშუალება გარეშე პროფესიისა. 40 წლიდან 50 წლამდე (ქვრივთა რიცხვი ქალიშვილთა რიცხვს აღემატება.) 25,30 პროც. აქვთ დამოუკიდებელ პროფესია, 74,70 პროც. ეკუთვნიან თავ შეფარებულთ.

50 წლიდან 25,20 პროც. ქალებისას აქვთ დამოუკიდებელი პროფესია, 74,80 პროც. ეკუთვნიან თავშეფარებულთ. ამ გვარად 40 წლიდან 60 წლამდე დამოუკიდებელ პროფესიის ქალთა რიცხვი იზრდება. მიუხედავათ შეუღლების ზრდისა. აქედან ის გამომდინარებს, რომ შეუღლება არ აძლევს ქალებს სრულს უზრუნველ ჰყოფას, თვით საიმედო ხნოვანებაშიაც 30 წლიდან 50 წლამდე და რომ ნაწილი გათხოვილი ქალებისა იძულებულია დაუბრუნდენ პროფესიონალურს შრომას

1895 წელში გათხოვილ ქალთა რიცხვი, რომლებსაც ეჭირად დამოუკიდებელი პროფესია უდრიდა 1.057.595. მაშასადამე, შეუღლება სრულიად არ წარმოადგენს სამუდამო პროფესიას; და არც იძლევა სამუდამო უზრუნველჰყოფას. გათხოვილ ქალების მერვედს და ნახევარ ნაწილს ქვრივებისას უხვდებათ ძებნა დამოუკიდებელი საშუალების თავის სარჩენათ.

გასაკვირი ის არის, რომ გერმანელთ ქალთა მოძრაობამ შეიგნო შეუღლების დაცემა არა პირდაპირი გზით, როცა მან თავისი ნიშანი დასვა კანონმდებლობას. მას აქედ რაც ჩვენ ვჩივით შეუღლების კანონმდებლობის • რეფორმაზე, ჩვენ ყოველთვის გულუბრიყვოთ ვოცნებობდით, რომ გათხოვილ ქალთა განთავისუფლება უნდა მომხდარიყო თვით კანონმდებლიდან. ჩვენ ერთობ ცოტად ვგეშულობდით მას, რომ გაბატონებული უფლება იყო შედეგი დღევანდელი ქალების აღზრდისა. ქალს, რომელსაც სურს იყოს თავშეფარებული, რომელიც ეძებს დასაჭერად მამაკაცის ხელს, როგორც ეკონომიურად უძლური პიროვნება, ასეთს ქალს ვერავითარი კანონი ვერ მიანიჭეს ხასიათს დამოუკიდებელ, უფლებიან პიროვნებისას.

მაგრამ ახალ კულტურას აუცილებლათ თან დაყვება ახალი კანონი შეუღლებისა. ამას ამტკიცებს ჩვენი სამოქალაქო დებულებები ჩვენი უფლებისა. 1895 წ. გერმანიაში იყო 6,380,000 საკუთარი პროფესიის მქონე ქალი. კანონი გვიჩვენებს ამ დიდს ნაბიჯს, რომელიც გადავდგით წინ 1367 მუხლის ძალით და რომელიც გზას უხსნის მომავალს თავისუფალ ქვეყანას. ის გვაუწყებს: „ცოლის საკუთრებათ ითვლება რასაც ის საკუთარი თავის შრომით, ანუ თავის საკუთარი საწარმაო დაწესებულებით მოიპოვებს", რომლის მართვა და მოხმარება იმავე მუხლის ძალით ქმარს აკრძალული აქვს. რა უნდა ვქნათ მისთვის, რომ ქალებში აღვძრათ სურვილი ამ გზაზე გამოსვლისა? პირველი— ეს პროპაგანდა ქალების ეკონომიურ ემანსიპაციისა, რომლის უმისოთ ყოველი სულიერი ემინსიპაცია ქიმერათ ჩაითვლება. მეორე—ეს, აგიტაცია ისეთი დაწესებულების სასარგებლოთ, რომლიც მისცემს საშუალებას ოჯახის დიასახლის და დედას კერძო მეურნეობიდან საზოგადო მეურნეობაში გადასვლისას. ჩვენ ვიცით, რომ დღესაც არსებობს ისეთი შრომა, როგორც განათება, გათბობა, პურის ცხობა, ხორცეულობის დამზადება, ტანისამოსის კერვა და რეცხვა მომეტებულ წილად თავს არ·წევს ოჯახის მეურნეობას. მაგრამ ჯერ-ჯერობით მრავალი ეს დაწესებულებანი კიდევ ერთობ ძვირია. საჭიროა, რომ ის გახდეს ყველასათვის ხელმისაწდომი. მე აქ ყველაზე უწინ სახეში მაქვს მუშებისათვის ბინები ცენტრალური განათებით და გათბობით და სახალხო სამრეცხველოები. ამ უკანასკნელის მოწყობაში გამოიხატება ჭეშმარიტი სოციალური აზრი, რომელიც მოკლებული იქნებოდა ყოველგვარ დამამცირებელს საქველმოქმედო ფორმას. ნუ თუ იმაზე მეტი უდამიანობა კიდევ შესაძლებელია როგორიც არის მოთხოვა 10—11 საათის ფაბრიკაში მუშაობით დაღლილ ქალისაგან, რომ მან ერთი ნაწილი ღამისა კიდევ გაატაროს სარეცხ გობთან, ანუ მოახმაროს ამ საქმეს უქმე დღე. ეს შრომა რომ გამოვაკლოთ, კერძო მეურნეობას, მაშინ მას დარჩებოდა ბინის მილაგება და საჭმელის მომზადება. მაგრამ საამხანაგო სახლები, მათი კარგათ შეკავშირებული შინაური მოსამსახურენი თავიანთი საერთო სუფრით გვიჩვენებს გზას, თუ საითკენ უნდა გავიაროთ. საერთო [illegible] შეუძლებლად მიაჩნია, თუმც საკუთარი ხელით მზარეულობა 100 ათასი ოჯახისათვის დიდი ხანია ოცნებათ იქცა. სახალხო საზრდოება, მაშინ იქნება გამოცლილი ოჯახის ხელიდან, როცა მას გაუძღვებიან თანახმათ სამეცნიერო ჰიგიენურ პრინციპებისა და როცა გაეფთება იმ ზომამდე, რომ ყველასათვის ხელმისაწდომი გახდეს.

მაშინ ის იმ ზომამდე გაუმჯობესდება, რომ ეხლანდელს საზრდოებას ისე გადახედავენ, როგორც რკინის გზას წინანდელს დილიჟანთან შედარებით. მე საჭიროთ არა ვსთვლი იმის ახსნას, რომ მასიური მზარეულობა სრულიად სავალდებულოთ არ გახდის საჭმელის საერთო სუფრაზე მიიღებას; თითეულს ოჯახს საშუალება ექნება ივახშმოს და ისადილოს თავის ოჯახში, რომლის წამოღების ნება საერთო სამზარეულოდან მას ყოველთვის შეეძლება

Z

(შემდეგი იქნება).

ჟურნალ-გაზეთებიდან.

მთელი რუსეთის საზღვაო ძალა ფინეთის სრუტეში გამოსულა.

დამფუძნებელი კრება.

ახალ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს დამფუძნებელი კრება მოსკოვში მოიწვიოს.

პრაპორჩიკთა სკოლის დახურვა.

სამხედრო მინისტრის განკარგულებით დაუყონებლივ უნდა შეწყდეს ქვეითა ჯარის პრაპორშჩიკთა სკოლებში იუნკრების მიღება.

რუსეთის რესპუბლიკის საბჭო.

7 ამ თვეს გაიხსნა რუსეთის რესპუბლიკის დროებითი საბჭო. თაი-

რომ ეს საქმე მიგვაჩნდა ჩვენ, საქმედ ყველა რუსეთის ჭეშმარიტ შვილებისა და საქმედ მთელი რუსეთისა.

ვანდობთ რა უმაღლეს სასამართლოს ამ საქმეს და ბედს ბრალდებულთა ჩვენ მოვითხოვთ მისგან და ველით მხოლოთ ერთს: სამართლიანობას, არაფრით არ შეურყეველს, სამართლიანობას დამყარებულს კანონზე და დანაშაულის დამამტკიცებელ საბუთების ძალაზე.

„განჩინება სასამართლოსი საყოველთაოთ გამოქვეყნებული იქნება.

შემდეგ ნაბრძანები იყო:

1) თავმჯდომარეთ უმაღლეს საოლქო სასამართლოსა იყოს პირველი კლასის ნამდვილი საიდუმლო მოთათბირე თავადი ლაპუხინი, და თუ ის ავათ შეიქნეს ნ. ს. მ. თავადი კურაკინი.

2) იუსტიციის მინისტრმა შეასრულოს ამ სასამართლოში მოვალეობა გენერალ—პროკურორისა.

3) სამი წოდების წევრების გარდა დაესწროს უმაღლეს საოლქო სამჯავროს შემდეგი პირნი: ნ. ს. მ. გრაფი გოლოვკინი, გენერალი გრაფი ლანჟერონი ნ. ს. მ. ბარონი სტროგონოვი, გენერ. ადუტ. ვოინოვი, ინჟინერი გენერალი ოპერმანი, გენერალ ადიუტანტები: გრაფი დე-ლამბერტი, სენიავინი, ბოროდინი, პასკევიჩი, ემანუელი, გრაფი კომაროვსკი, ბაშუცკი, ზაკრესკი მიტრი და მოსკოვის დეპარტამენტების სენატორი ს. მ. კუშნიკოვი.„

საგამომძიებლო კომისიის ხელიდან დეკაბრისტები გადავიდნენ უმაღლეს საოლქო სასამართლოს ხელში. მთელი მოქმედება უკანასკნელის წინ და წინ გადაწყვეტილი იყო იმპერატორ ნიკოლოზ პავლესძის მიერ მ. მ. სპერანსკის გულითადი დახმარებით.

თავმჯდომარეს სახელზე რესკრიპტებში მიწერილი იყო კომისიის ამორჩევა: სარევიზიო და დანაშაულის ხარისხის გასარკვევათ. კომისიისათვის ნაჩვენები იყო ის საქმე, რომელიც უნდა შეესრულებია თითეულ მათგანს. მთელი გასამართლება დეკაბრისტებისა ამოწურული იყო მით, რომ მათ უყენებდენ სამს კითხვას, რომელიც დამუშავებული იყო იმპერატორისა და სპერანსკის მიერ: 1) ბრალდებულთა მიერ ხელ მოწერილი იყო, თუ არა ჩვენება? 2) თავის ნებით მოწერეს, თუ არა ხელი 3) წაუყენეს თუ არა ერთი მეორეს?. ხალხი სწერდა ყველაფერს, რაც კი მოაფიქრდებოდათ, და არ იცოდენ, თუ რაში ვამოიყენებდენ ყველა ამას. სწერდენ ყოველგვარ რეფორმებზე, მაზე, თუ როგორ მივიდნენ ასეთ რწმენამდე, მიმართავდენ მონარქს, იმ იმედით, რომ ის თავისი ძლევა მოსილობით განახორციელებდა მას, რასაც ისინი წინათ რევოლიუციით მოელოდენ. ზოგი შეიძლება მინისტრის პორტფელსაც ელოდა. და მათ უყენებენ სამს კითხვას: ხელი მოაწერეთ თუ არა? თქვენი ნებით მოაწერეთ? და სხვა.

რასაკვირველია მათ აზრათაც არ მოუვიდათ, რომ მათი გასამართლება ამ სამი კითხვით შეიზღუდებოდა. ბრალდებულთა უნახავათ, მათ დაუკითხავათ, თუ რა შეეძლოთ ეთქვათ თავ-გასამართლებლათ. სასამართლომ ზემო აღნიშნულ მასალებით ერთ ხმით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ის დამნაშავენი, რომელთა გამოტეხა იყო აღნიშნული აქტებში და მათ მიერ ხელმეორეთ დადასტურებლი უნდა დასჯილიყვნენ სიკვდილით.

„სისტატიკე ჩვენი კანონებისა, არატორობდა მსჯული,-ნებას არ გვაძლევს ამ შემთხვევაში გავარჩიოთ რაიმე თანდათანობა. ყველა მომქმედნი და მონაწილენი, თანამოაზრენი და ის პირნი, რომლებმაც იცოდენ ეს ბოროტი განზრახვა, რომელიც ემუქრებოდა ხელმწიფე იმპერატორის წმინდა პიროვნებას, და მის რომელიმე გვარს, მცოდნენი არეულობის და ჯარში აჯანყების გამომწვევის განძრახვისა, ყველანი გამოუკლებლად ითვლება სიკვდილ მისჯილი.

მხოლოდ ხელმწიფის მოწყალე გულის, თქმით რომელმაც მოისურვა შეემსუბუქებინა ხვედრი დამნაშავეთა სასამართლომ დაყო ისინი 11 რიგად, რომელთაც სხვა და სხვა სასჯელი მიუსაჯა დაწყებული უბრალო ჯარის კაცით გადაქცევიდან გათავებული თავის მოჭრამდე.

5 დამნაშავენი: პესტელი, რილეევი, მურავიოვი, ბესტუჟევ-რიუმინი, და კახოვსკი ამ რიგიდან გამოყოფილი იქნებიან და სიკვდილით დასჯილი.

„იმპერატორ ნიკოლოზ პავლესძემ ყველას თითქმის შეუსუბუქა სასჯელი.

და თუ აუცილებლათ რომელიმე მათგანი სიკვდილით უნდა დაისაჯოს ხელმწიფე ასეთს განაჩენს თვით არ დაამტკიცებს და ანდობს საოლქო უმაღლეს სასამართლოს ამ საქმის გადაწყვეტას.

ამ გვარად ყოველ სამრთალს მოკლებულმა უმაღლესმა საოლქო სასამართლომ, ნიკოლოზ პავლესძის, სიბოროტეს, (რომლის ყურმოჭრილი ყმა იგი იყო) გადაეფარა და ხუთი ადამიანის სიკვდილი თავის თავზე მიიღო.

უმაღლეს საოლქო სასამართლომ პესტელს, რილეევს, მურავიოვს, ბესტუჟევს, და კახოვსკის ჩამოხრჩობით სიკვდილი მიუსაჯა."

(შემდეგი იქნება)

მჯდომარეთ აირჩიეს ავქსენტევი, ხანაგათ პეშეხონოვი ბოლშევიკებმა დარბაზი დასტოვეს.

ვილჰემი რიგაში.

ქ. რიგის მართლმადიდებელთა ტაძარში ხატს ემთხვია და ბრძანა რომ ღვთის მსახურების დროს ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე მოიხსენეთ„ო.

ქალები აფიცრები.

ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელში ქალებმა 1 ოკტომბერს კურსი დაამთავრეს. ქალებ-პრაპორჩიკები ჯერ არ დაუნიშნავთ სამხედრო ნაწილებში და იმყოფებიან სამხედრო მინისტრის განკარგულების ქვეშ.

ქალთა კავშირმა „შველა სამშობლოს'' 4 ოკტომბერს დღესასწაული გაუმართა პირველ ქალთა-ოფიცრებს იურიდიულ საკრებულოში. მოწვეული იყო წარმომადგენელნი უმაღლესი კომანდისა, დროებითი მთავრობის და საზოგადო ორგანიზაციებისა.

ახალი ამბავი.

ორ ოკტომბერს ქ. ქუთაისი ჯარის კაცთა ერთი ნაწილის თაოსნობით დაარბიეს. განადგურებულია თითქმის ყველა საუკეთესო მაღაზიები. ქალაქში საალყო წესებია. სიმშვიდეს თბილისიდან ჩამოსული იუნკრები იცავს.

ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი.

5 ამ თვეს ქუთაისში ჩამობრძანდა მიტროპოლიტი ანტონი.

ქუთაისის დარბევის გამო ჩვენი გაზეთის მორიგი №-რი წასულ ხუთშაბათს ვერ გამოვიდა.

უწყლობა

სიძვირისა და მეთულუხეთა უწესრიგობის გამო ქალაქის საბჭოს გამგეობას აზრათა აქვს თვითვე მოაწყოს ქალაქში მცხოვრებთათვის წყლის მიწოდება.

ირაკლი წერეთლის ჩამოსვლა.

9 ამ თვეს ქ. ქუთაისში ჩამოვიდა რუსეთის რევოლიუციის ბელადი, ყოფილი მინისტრი ირაკლი გიორგის ძე წერეთელი.

უცნაური გაუგებრობა.

როდესაც რაიმე უკმაყოფილება ჩამოვარდება საზოგადოებისა და დაწესებულებათა შორის ყოველი გონიერი მმართველი ამ უკმაყოფილებს აწონ დაწონის და მისი მიზეზების ძებნას შეუდგება. გადახედავს როგორც ერთს ისე მეორეს და ეცდება რომ მოისპოს და არ გამწვავდეს ეს უკმაყოფილება. ჩვენში კი თუ რომ ძველი მოხელეები არაფრად არ აგდებდა ხალხის ჩივილს არც ახალნი იწუხებენ მან და მაინც ამაზე თავს. საზოგადოება ჩვენში წარმოადგენს დღესაც საწველ ფურს, რომლისაგან მოითხოვენ სხვა და სხვა შეწირულებას, მაგრამ რომლის კეთილ დღეობაზე და კმაყოფილებაზე, თუ უკმაყოფილებაზე არავინ არ ზრუნავს. ჩვენი მმართველნი დღეს ხალხის ჩივილსა და საყვედურს ამა თუ იმ დაწესებულებაზე პროვაკატორების და კონტრ-რევოლიუციონერების ოინებით ხსნიან. და სრულიად არ ცდილობენ ჩაიხედონ თვით დაწესებულებებში, რომ გამოიკვლიან ნამდვილნი მიზეზი ამ საყვედურისა. ცხოვრება ზღაპრული ხასიათით ძვირდება. ზამთარი დგება ხალხს მთელის შიმშილი, სიცივე და დღემდე მის საწინააღმდეგოთ აზიურს სიძაბუნესა დაუდევრობას ვიჩენთ. როცა მოდიხართ რომელიმე დაწესებულებებში იქ უფრო ძველებურს ცხვირჩამოშვებულს ჩინოვნიკებს ხვდებით, ვიდრე გულშემტკივარ მოძმეთ და ეს უბრალო ცილის წამებით რომ არ მოეჩვენოს ვისმეს მოვიყვან პირადათ განცდილს მაგალითს. წასულ ხუთშაბათს შეველი ქალაქის სასურსათო კომიტეტში, მინდოდა ბაშმაკები მღირსებოდა, რადგან დიდი ხანია წვიმა ტალახში მიხდება ლანჩა გამოგლეჯილი უკალოშოთ სიარული. იქ გამგზავნა ერთმა ჩვენში ცნობილმა მოღვაწე ამხანაგმა, რომ ჩაწერილიყავ მისდა დასაკვეთად, თანვე მინდოდა შეშის ბარათიც ამეღო. მივედი, კარებში მობუზღუზე ხალხი სდგას. ერთხანს მეც ვიდექი შემდეგ შეველი ოთახში და ვკითხე:-ბაშმაკებისათვის აქ შეიძლება ჩაწერა? ერთმა მიპასუხა:- რა ბაშმაკებისათვის? აქ არავინ ბაშმაკებისთვის ის ეწერება! მეორემ მითხრა: „მეორე ოთახში იკითხენთ„ო. წავედი მეორე ოთახისაკენ და იქაც ვიკითხე. მეორე ოთახიდან მესამეში გამგზავნეს. მივედი პირველ მაგიდასთან დამხვდა იქ ერთი კოპწია ქალი დავეკითხე მას, თუ სად შეიძლება ბაშმაკებისათვის ჩაწერა მან ცხვირაბზეკით მომიგო; „მეორე, სტოლთან წადი". მივედი მეორე სტოლთან და ვიფიქრე ეხლა მაინც მომცემენ რამე დადებითი პასუხს მეთქი. მაგრამ აქ მთლათ იმედი მომისპეს. ვინ გითხრათ, რომ ბაშმაკებისათვის ეწერებიან? ბაშმაკები, როცა შეიკრება გამოვაცხადებთ და მაშინ მოდით.

გამოვბრუნდი მწარეთ დაღონებული, იმდენათ უარის თქმით არა რამდენათაც თავი სულელურ მდგომარეობაში ვიგრძენ.

შეველი ისევ პირველ ოთახში იმ აზრით, რომ შეშის ბარათი მაინც მიმეღო. იქ სდგას ერთი ჩერქეზულ ტანისამოსში გამოწკეპილი ქლოარა კაცი. მივმართე მას კითხვით თუ სად შემეძლო შეშის ბარათის აღება. მიმითითა მაგიდასთან.

— „მაგერ დადექი და ჩაგწერენ." დავდექი. ვიცადე ერთხანს, ვხედავ რომ ამ მაგიდასთან, რომელთან დამაყენა რევოლიუციონურმა მოხელემ, რაღაც წითელი ბარათები მოაქვთ და ახალზე უცვლიან მას. მე კი ასეთი არაფერი არა მაქვს, უეჭველია, რომ აქედანაც გაწბილებული გამომისტუმრებენ, ამ დროს ერთი ჩემი ნათესავი ქალი გამოდის

— სად ეწერებიან შეშისათვის დავეკითხე. მას

— мы можем вам дать билет, მითხრა მან, და მომიხრა ბეჭედ დაკრული ნაჭერი ქაღალდი. ამავე დროს ჩერქესკიანი მოხელე მომიბრუნდა და იგივე ნაჭერი ქაღალდი შემდეგი სიტყვებით მომაწოდა:

— ჰა, წაიღე ეს ქაღალდი. მე უკვე მივეცი უპასუხა ჩემა ნათესავმა ქალმა.

— აბა კარგი და კვახეთ გაიბრუნა უკანვე თავის მონაწოლდები ქაღალდი. ვხედავ ყველა ამ სიტლანქეს და ჩემს გულს ვასკდები. ბოლოს ველარ მოვითმინე და მიუბრუნდი ჩერკეზკიანს:

— ნეტავ ვიცოდე რამ გაგადიდგულათ ეგრე?

— სისხლი ყელში მომდის კისერზე თითის მიდებით მომიგო მან.

— მერმეთ თქვენ ფიქრობთ, რომ მაგით საქმეს გააკეთებთ? მე რომ აგრე დამაბნიეთ რა უზამთ თქვენ, ვინმე უბრალო, შეუგნებელ ადამიანს ასეთი მოქცევით?

— უბრალო რა არის და თქვენ რა ხართ? მომიგო „რევოლიუციონერმა" სირცხვილი „არ არის მაგის თქმა?"

სიმწარე და სიცილი მომგვარა გულში ამ გაზეპირებულ ფრაზამ, რომელსაც წარა მარა წამოისრიან ხოლმე ისეთი ადამიანები, რომელთ გულში არავითარი უბრალოება არ არსებობს. ბრიყული ლაკანიკური პასუხები, რომლიდანაც კაცი ვერაფერს ვერ გებულობს, სიამაყე დიდგულობა აი თვისებები, რომელსაც იჩენენ დღეს, ახალი მოხელეები. ნეტავ რა აქვთ ვისმესთან ამ ბატონებს სადიდგულო? დილიდან ნაშუადღევის 1 საათამდე მუშაობენ ხოლმე სასურსათო კომიტეტში. ეს ისეთა ცოტა დრო და თანაც ისეთი საზოგადო დაწესებულებაა, სადაც აღფთოვანებით და ხალსით უნდა მუშაობდეს, თითეული მათგანი. მაგრამ სამწუხრო ის არის, რომ აქ ისეთს პირებს შეხვდები, რომელთაც უბრალო ძარღვი საზოგადო მოღვაწისა არ მოეპოვებს და დამჯდარან მისთვის, რომ უზრუნველ ჰყოლ თანვიანთი პირადი საჭიროება. სანამ ასეთი პირებიდან არ გასწმენდავენ სასოზგადო დაწესებულებს, სანამ საქმეში არ ჩადგებიან გულშემატკივარი, საქმის მცოდნე პირნი, მანამდე ხალხის საყვედური, თუ არ იმატებს არაფრით არ მოიკლებს. ფრაზიოლოგიური განცხადების დრო წავიდა, ხალხი საქმეს მოითხოვს, გაჭირვებას ქათინაურებით ვერავინ დააყუჩებს. და სანამ ეგ საყვედური აღშფოთებამდე მივიდოდეს საჭიროა თითეულმა დაწესებულებამ თავის მოვალეობას და თავის მოსამსახურეთა მოქმედებას დააკვირდეს

კატო მიქელაძე

მისაბაძი მაგალითი.

დაბა კულაშის სახალხო თეატრს შემოწირა დიდათ პატივცემულმა ნინო გებუაძის ასულმა მიქელაძისამ, ქართული კაბა აბრეშუმის, თავის სარტყელ გულისპირით. აგრეთვე ელენე აპალონის ასულმა მიქელაძემ მაგიდა, რისთვისაც დიდ მადლობას უცხადებს მათ თეატრის გამგეობა.

ელისაბედ მამფორია.

შემოწირულობა ჩვენმა რედაქციამ მიიღო ამხანაგ ელენე ჩხეტიასგან ნოქალაქევის აგარაკში პლატონ გახოკიას დახმარებით, შეგროული ფული 142 მ. სარედაქციო ფონდის გასაძლიერებლათ. სიის დაკარგვისა გამო შემომწირველთა გვარებს ვერ ვბეჭდავთ.

რედაქცია გულწრფელ მადლობას სწირავს შემომწირველთ და შემგროვებელთ.

თამარ გოგოლაშვილმა შემოსწირა გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ 10 მან.

მარიამ პეტრეს ასულმა გვირიამ 5 მან.

წერილი რედაქციის მიმართ.

დ. ხარაბოული (სადგ. ბელაგორი.)

ამხანაგო რედაქტორო!

ნება მიბოძე თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ყველა იმ პირთ, რომელთაც სხვა და სხვა საშუალებით დახმარება გაუწიეს ხარაბოულის ქალთა წრეს. ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მათგანი გამომეტებული წვლილი მოხმარდება ფრიად კეთილ მიზანს: ხსენებულ წრეს განზრახული აქვს, როცა საშუალება ხელს მისცემს, მოაწყოს დ. ხარაგოულში ღარიბ მოსწავლეთათვის უფასო თავშესაფარი, ანუ ბინები. იმედი გვაქვს, ფონდას გასაძლიერებლათ, მიმბაძველები გაუჩნდებინ იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ფულით დახმარება გაგვიწიეს, აქვე ვათავსებთ სიას შემომწირველებისას:

ტარასი კიკნაძემ — 50 მან.
ალექსანდრე კვარაცხელიმ — 15 მან.
ნიკოლოზ კიკნაძემ — — 10 მან.
ვანო დეკანოსიძემ — — 10 მან.
პროკოფი პანჩულიძემ — 5 მან.
ერმანოზ ბუაჩიძემ — — 3 მან.
ნოე ავალიანმა — — 3 მან.
გაბრიელ ყუბანეიშვილმა-3 მან.
ვასილ ყიფიანმა — — 2 მან.
ელენე ხარაძისამ — — 2 მან.

ხარაბოულის ქალთა წრის გამგეობას თავ მჯდომარე

ანნა ედილაშვილი.

დამაკვირდი

თუ გსურთ მამაცები იყვნენ დიდებულნი და კეთილნი, დაასწავლეთ ქალებს, თუ რაში მდგომარეობს დიდებულობა.

რუსსო

კარგი ქალები ყოველთვის კარგ მამაკაცებზე უკეთესია.

ნაპოლეონ

შთაბეჭდილობიანი ბუნება ქალებისა, ისე ღრმათ არას ოდეს არ გაფუჭდება, როგორც მამაკაცისა.

მიშლე

თუ ქალსა აქვს უფლება ეშაფოტზე სვლისა, მასვე უნდა ჰქონდეს უფლება ტრიბუნაზე ასვლისა.

ოლიმპია დე გუჟ

სიყვარული შეიძლება არსებობდეს ასკეტის გულში, მაგრამ არას ოდეს გარყვნილი ადამიანის გულში.

ლეგუვე

რაც უნდა სულელი იყოს ქალი ის ცხოველზე უფრო ჭკვიანი ყოველთვის არის—მამაკაცი კი ხშირად უმდაბლეს პირუტყვზე უფრო სულელია.

ბუალო

სტამბა „შრომა" [illegible] ქ. სახლი გოგოლისა.